დაიჯესტი

10 - 14 იანვარი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

6 იანვარს ფლორიდაში გამართული საიუბილეო ღონისძიების მსვლელობისას, ულტრამემარცხენე მოძრაობა, ანტიფასთან დაკავშირებული ეჭვმიტანილი მამაკაცი, 22 წლის გარეტ ჯეიმს სმიტი, დააკავეს. დაკავებულს თან ჰქონდა ხელნაკეთი მილის ბომბი და სამოქმედო ინსტრუქცია.

გაერთიანებული სამეფო

მირიამ სებაღს, ჰუნვიკის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს, პედაგოგიური საქმიანობა სამუდამოდ აეკრძალა. სებაღი ფინანსურად ეხმარებოდა ტერორისტულ საქმიანობაში ჩართულ პირებს.

აღმოსავლეთ-ლონდონელ, 28 წლის ექსტრემისტ მამუნ რაშიდს, რომელიც თვეების განმავლობაში ცდილობდა თურქეთიდან სირიის საზღვრის გადაკვეთას, გაერთიანებული სამეფოს სასამართლომ თავისუფლების აღკვეთის სახით 12 წლით პატიმრობა შეუფარდა.

საფრანგეთი

ოფიციალური პარიზის განცხადებით, საუდის არაბეთში გასულ კვირას დაკარის მანქანების რბოლის დროს ფრანგული მანქანის აფეთქება შესაძლებელია ტერორისტული თავდასხმას წარმოადგენდეს.

საფრანგეთისა და შვედეთის ხელისუფლებებმა „დაეშის“ მიერ იეზიდების მიმართ ჩადენილი დანაშაულების შესასწავლად საერთო საგამოძიებო ჯგუფი შექმნეს. 2014 წელს „დაეშმა“ ჩრდილოეთ ირანში 10 000 იეზიდი მოკლა.

ერაყი

ერაყის ხელისუფლებამ ჩრდილოეთ სირიაში მდებარე ქურთების მიერ მართული ბანაკიდან დაეშთან დაკავშირებული 111 ოჯახის რეპატრიაცია წარმატებით განახორციელა.

ბაღდადში მდებარე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმართულებით გასულ კვირას 4 რაკეტა ისროლეს. აღნიშნული ამ დროისათვის ბოლო იყო საჰაერო

თავდასხმების სერიიდან ირანისგან მომავალი საფრთხეების, პოლიტიკური ძალადობის და ერაყში სხვადასხვა ფრაქციების მიერ მთავრობის შექმნის მცდელობის ფონზე.

სირია

სულ მცირე სამი ადამიანი დაიღუპა სირიის ჩრდილო-დასავლეთში თურქეთის საზღვრის მახლობლად მომხდარი აფეთქებების სერიის დროს; დაღუპულთა შორის ორი თვითმკვლელი ტერორისტია.

იემენი

იემენში ლეგიტიმურობის აღდგენის კოალიციამ ორშაბათს განაცხადა, რომ შაბვას პროვინციაზე საჰაერო თავდასხმის შედეგად 220 ჰუსიტი მებრძოლი დაიღუპა.

ნიგერია

ნიგერიელმა ჯარისკაცებმა კავურისა და კაიამლაში ჩატარებული ორი დამოუკიდებელი ოპერაციის ფარგლებში დაეშის დასავლეთ აფრიკის პროვინციის და ბოკო ჰარამის ტერორისტები მოკლეს.

კონგო

დაეშმა აიღო პასუხისმგებლობა 25 დეკემბერს აღმოსავლეთ კონგოში, ქალაქ ბენიში მდებარე რესტორანში მომხდარ აფეთქებაზე, რომლის შედეგადაც სულ მცირე 8 ადამიანი დაიღუპა.

პაკისტანი

პაკისტანის კონტრტერორისტულმა პოლიციამ ქალაქ კიეტას სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში „დაეშის“ დაჯგუფების სამალავში ჩატარებული რეიდის შედეგად 6 მებრძოლი მოკლა.

ავღანეთი

თალიბანის ოფიციალური წარმომადგენლების ჯგუფი ირანში შეიარაღებული ავღანური წინააღმდეგობის ჯგუფის რამდენიმე ლიდერს შეხვდა. გავრცელებული ინფორმაციით, მათ ქვეყანაში უსაფრთხოდ დაბრუნების უფლება მიეცათ.

10 იანვარს, აღმოსავლეთ ავღანეთში, პაკისტანის საზღვართან მომხდარი აფეთქების შედეგად სულ მცირე ცხრა ბავშვი დაიღუპა და ოთხი დაიჭრა.

ასობით ავღანელი გამოვიდა ქუჩებში თალიბების მიერ უზბეკი ეთნიკური უმცირესობის ადგილობრივი მეთაურის დაპატიმრების გასაპროტესტებლად.